

საახალწლო ბლიც-ტურნირი ჭადრაკში „ბათუმის თასი“

15 დეკემბერი 2019 წ. ქ. ბათუმი, სასპორტო სკოლის დარბაზი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორგანიზატორები: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია; აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

1. ჩატარების ვადები და ადგილი:

15.12. 2019 წ. - 14.00 საათი. ქ. ბათუმი, სასპორტო სკოლის დარბაზი, გორგილამის ქ. N 91

ღონისძიების ფარგლებში გაიმართება 3 ტურნირი: ღია, 14 წლამდე და 10 წლამდე ჭაბუკებსა და გოგონებს შორის.

2. სისტემა და კვალიფიკაცია:

- ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 7 ან 9 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

3. დროის კონტროლი:

თითოეულ მონაწილეს მიეცემა 3 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 2 წამის დამატებით.

4. რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:

მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა გადმოაგზავნონ დაბადების მოწმობის ასლი და ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ჩემპიონატის სატურნირო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი

2019 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით ელ-ფოსტაზე: chessketevan@mail.ru , მობ: 593 302 158

საბანკო ანგარიში: საინდ. კოდი: 245424704 ს.ს. "საქართველოს ბანკი", მფო BAGAGE22

ანგარიშის № GE95BG000000363099200

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2019 წლის 14 დეკემბერი.

მონაწილის სატურნირო შესატანია: 10 ლარი (უნადლო ანგარიშსწორებით).

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

5. თაი-ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

6. გამარჯვებულები:

ღია ტურნირში, საპრიზო სამეული დაჯილდოვდება დიპლომით და ფასიანი საჩუქრებით, გამარჯვებულს გადაეცემა "ბათუმის თასიც".

ასევე გამოიყოფა ქალთა ნომინაციაც და დაჯილდოვდება საპრიზო სამეული.

8,10,12 და 14 წლამდე ჭაბუკებისა და გოგონების კატეგორიებშიც გამოიყოფა 3 – 3 საპრიზო ადგილი, რომლებიც დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო საუკეთესო შედეგის მქონე 1 გოგონა და 1 ჭაბუკი ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, დამატებით დაჯილდოვდება თასით. ტურნირის ყველა მონაწილეს გადაეცემა საახალწლო საჩუქრები.

საერთო წესები:

- მონაწილის ტურნირიდან არასაპატიო მიზეზით გათიშვის შემთხვევაში გათვალისწინებულია სანქციები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (№10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად. პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
 - ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 3 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება ტურნირის გახსნის ცერემონიაზე.
- მონაწილე ვალდებულია, წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი ქეთევან მუხაშარია (მობ. 593 302 158)

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო ოსტატი სოფიო ტერელაძე